# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 324. | კვირა, 12 ივნისი 1905 წ. | გაზეთის № 2842.


# ისტორიის გაკვეთილი

**ალფონს დოდესი**

მარშალმა გაათავა, როგორც ყოველთვის, მშვენიერი საუზმე, წამოდგა ცოტა დამძიმებული, მოუკიდა ძვირფას სიგარას და მორიგე ადიუტანტის თანხლებით თავის პატარა ბაღის ქვიშით მოფენილ ხეივნებში დაიწყო სეირნობა.

ოქტომბრის დამლევი იყო. ერთი თუ ორი დღის შემდეგ სამხედრო თათბირი უნდა მომხდარიყო. მშვენიერი ამინდი იყო. ჰაერი არ იძვროდა; მხოლოდ დრო გამოშვებით სატორიიდან მოისმოდა საყვირის ხმა და ტყით მიმავალ მატარებლის მძიმე ქშენა. დაფიქრებული მარშალი დინჯად და მდუმარედ დადიოდა. უცბად მიუბრუნდა ადიუტანტს და შესდგა:

— ამიხსენით, თუ ღმერთი გრწამთ, ვინ არის ადმირალი ბინგი, რომელსაც გაზეთები იხსენიებენ ჩემს საქმეზე ლაპარაკის დროს. მე მგონია, მასხარა, კომიკური გმირი უნდა იყოს ვარიეტიდან ან პალეროიალიდან, აი შვეიცარიელ გენერლის ან და ადმირალ ბუმის მსგავსი... ასე არ არის, პოლკოვნიკო?

ადიუტანტს შემთხვევით ცოტა რამ წაეკითხა. მშვენივრად იცოდა, რასაც ეკითხებოდნენ, მაგრამ შეკრთა და მართლის თქმა ვერ გაბედა. ბოლოს თავის მოვალეობად ჩასთვალა უფროსისთვის სიმართლე გაეგებინებინა და ამიტომ აუხსნა, რომ ბინგი მეთვრამეტე საუკუნეში სცხოვრობდა და ინგლისელი მეზღვაური იყო. გააგებინა ისიც, რომ საფრანგეთის ესკადრამ დე ლა-გალისსონიერის უფროსობით უკუაქცია ბინგი, რომ ეს ბრძოლა პორტ-მაგონთან მოხდა, რომელსაც რიშელიემ ალყა შემოარტყა.

**მარშალი.** ჰო... რიშელიე... დიდებული კარდინალი იყო... როგორ არა... როგორ არა, გამიგონია...

**ადიუტანტი** (გაუბედავად). უკაცრავად, გენერალო! ეს ის რიშელიე არ არის... სხვა...

**მარშალი** (განცვიფრებული). ნუ თუ? განა სხვა რიშელიეც იყო? თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი! ჰო, მერე, განაგრძეთ, თუ ღმერთი გრწამთ...

**ადიუტანტი.** ღმერმანი, გენერალო, ეს ისეთი სამწუხარო ამბავია... არ ვიცი, როგორ გავბედო...

**მარშალი.** არა უშავს-რა, სთქვით!

**ადიუტანტი** (თავს დაუკრავს და განაგრძობს). თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, რასაკვირელია, რომ ინგლისელნი ეროვნულ საქმეებში ძალზე თავ-მოყვარენი არიან. აი სწორედ ამიტომ პორტ-სმუტის ბრძოლა იმათ ეროვნულ თავმოყვარეობის შელახვა იყო. ისინი დანაკლისს არა სჩიოდნენ; არც იყო დანაკლისი, რადგან ბინგი ბრძოლის გათავებამდე გაიქცა; ისინი თავიანთ გავლენის დაკარგვას, ზნეობრივ შელახვას სტიროდნენ. თავის გასამართლებად ადმირალმა ბინგმა სთქვა, რომ ქარი უბერავდა, ძნელი იყო გამარჯვება და ამიტომ გამოვექეცი მტერს და სამაგიეროდ ფლოტი გადავარჩინეო.

**მარშალი.** სწორედ ისე მოსვლია მაგ ადმირალს, როგორც მე მომივიდა. განაგრძეთ, განაგრძეთ, ერთი!..

**ადიუტანტი.** ბინგი მიღებული იყო სასახლეში, ფორმულიარიც კარგი ჰქონდა, ამიტომ გეორგმა მხოლოდ უფროსობა ჩამოართვა. სამაგიეროდ მთელი ინგლისი აღელვა ბინგის საქმემ. თუ წინად ბინგის სახელი პატივით იხსენიებოდა, ეხლა იგი ზიზღის და სიძულვილის მეტს არას იწვევდა. ხალხმა ბინგი სალანძღავ სახელად გადააქცია. ეროვნული თავმოყვარეობა იმდენად ძლიერია ინგლისში, რომ მეფე გეორგმა ძალა-უნებურად დაუთმო ერს: ერთის წლის შემდეგ ბინგი სამხედრო სამართალში მისცა.

**მარშალი.** როგორც მე.

**ადიუტანტი.** საქმე მეტად გაჭიანურდა და დაიხლართა. პოლიტიკა, სხვა სახელმწიფოს მეფეენი,—ყველა ერეოდა ამ საქმეში. ბინგი მემუარს მემუარზე სწერდა. მოწმებად თავის აფიცრებსაც კი იწვევდა. ასე გასინჯეთ, გამარჯვებულთაც-კი მამართა და ლა-გალის ონიერის და რიშელიეს წერილები წარუდგინა სასამართლოს.

**მარშალი.** სწორედ ისე მოქცეულა, როგორც მე. მერე, მერე? დარწმუნებული ვარ გაამართლეს?

**ადიუტანტი.** არა, გენერალო! უნდოდათ ბინგი სამაგალითოდ დაესაჯათ და ერთხმად გადაუწყვიტეს...

**მარშალი.** რა გადაუწყვიტეს? ღირსებისა და პატივის აყრა?

**ადიუტანტი** (ყოყმანით). არა, გენერალო!

**მარშალი.** განდევნა?

**ადიუტანტი.** არა, გენერალო.

**მარშალი.** მაშ, რა მიუსაჯეს, დასწყევლოს ეშმაკმა?!

**ადიუტანტი.** ადმირალი ბინგი დახვრიტეს პორტსმუტის რეიდში, თავის საადმირალო გემის პალუბაზე.



**კარმენი.**—ქანდაკება სეგოფინისა.

**მარშალი** (მცირე სიჩუმის შემდეგ). საშინელებაა! მაშ იმის ღალატის დამამტკიცებელი საბუთები იპოვეს?

**ადიუტანტი**. არავითარი, პირიქით, საზღვაო საბჭომ პატივი სცა მის მამაცობას და პატიოსნებას და დეკრეტში, რომლითაც მას სიკვდილი მიუსაჯეს, შემდეგი ეწერა: „სიკვდილი მიესაჯა იმიტომ რომ მან ბრძოლაში არ გააკეთა ყოველივე ის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა.“

— აა!—სთქვა მხოლოდ მარშალმა, უცბად გაყუჩდა და განაგრძო ბაღში სიარული იმ ერთგვარ ნაბიჯით, რომელიც ჩვენის მწარე ფიქრების გამომხატველია. მარშალი დრო-გამოშვებით შესდგებოდა და თავისთვის ლაპარაკობდა: „დასაჯეს იმიტომ, რომ ბრძოლაში არ გააკეთა ყოველივე ის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა“.

**უცნობი**

# ორი ქალი

**იაპონური მოთხრობა, თხზულება კაიო სანჯისა.**

(ოცაკი ტოკუტაროსი)

## IV*)

### ხარაკირი

ლამპრის სინათლე მკრთალად ეფინებოდა ოთახს. ფანჯრის ჰუჰრუტანებიდან შემოსული ნიავი ხან და ხან აპრიალებდა ხოლმე ლამპრის ალს, მერე ისევ მომკრთალებული ანათებდა.

ფარდებ შემოფარებულ ლოგინზე იჯდა კოშირო, ძალზე გადაფითრებული. ისე გამხდარი იყო, რომ ჯავშანი აწი აღარ გამოადგებოდა. თავის გძელ მახვილს დაპჯენოდა, თავი დაეხარა. გაბურძგული თმა ძირს ეშვებოდა.

დღეს უკანასკნელად ჰხედავდა თავის სხეულს. გადასწყვიტა სიკვდილი. მაგრამ ვიდრე გული უძგერდა, კიდევ საწუთრო ზრახვანი ცოცხლობდნენ მასში.

კოშირო ფიქრობს თავის ცოლზე. ვაკაბა ჰქვიან იმასა— ე. ი. „ქორფა ფოთოლი“, მაგრამ ეს სახელი შესაფერი არაა; ის ყვავილსა ჰგავს. ყველა აღტაცებული იყო იმის სილამაზით. იმის გული სიყვარულის ღირსია და მეც ვუყვარვარ. ამბობენ, მონადირეც კი არა ჰკლავს იმ ფრინველს, რომელიც შიშით მონადირესავე მიაფართქალდება. ფრინველს ლაპარაკი არ შეუძლიან და არც ვნებათა ღელვა აქვს. მონადირე მიჩვეულია მოკვლას, გული გაქვავებული აქვს, მაგრამ მაინც არა ჰკლავს ფრინველს... მე არ დამვიწყებია იოშინო, ჩემის სიყმაწვილის ამხანაგი, მაგრამ ნახევარი თვე ხომ ვიცხოვრე ვაკაბასთან და შემეძლო არა მყვარებოდა ისა? როგორ იწუხებს. ხომ არ მოკვდება მწუხარებისაგან? იმდენი ტანჯვა მოვუმზადე მე იმას, რომ სიკვდილზე უარესია. განა— შესაძლებელია ასე მოქცევა? გამოთხოვების დროს განგებ ვიღიმებოდი და საალერსო სიტყვებს ვეუბნებოდი, რომ ამით შემემსუბუქებინა განშორება. უბედური ქალი!..

კოშირო ცოლთან განშორების წამს იგონებდა.

ეს იყო 6 თებერვალს, გაზაფხულის დილას. მიწაზე თოვლი იყო. ცაზე ნაცრის ფერი ღრუბლები მისრიალებდნენ... მზე კიდევ არ იყო ამოსული, ბნელოდა. მტირალე ძეწნა შრიალებდა, კვირტები ცოტად შეღერებოდა, მაგრამ სიცივეს შეეკრთო; ირთვილავდა, ისმოდა მამლის ყივილი.

სახლიდან ახალგაზრდა ყმაწვილი გამოვიდა და თან ლამაზი ქალი გამოჰყვა. მარჯვენა ხელი კაცისთვის მოეკიდნა, მარცხენათი კი იარაღს უსწორებდა. სახლთან სალდათი იჯდა, მსუბუქად შეიარაღებული. სალდათმა იცნო თავის ბატონი და ჩალის სანდლები მიაწოდა.

— ცოტად ინათლა,—სთქვა სალდათმა. ახალგაზრდა მხედარმა მხოლოდ თავი დაუქნია, ჩაიცვა სანდლები, ფეხი დაჰკრა ძირს და სთქვა:

— ვაკაბა, მუზარადი მომეცი.

სალდათი მივიდა ქალთან და მუზარადი გამოართვა. ცოლქმარმა ერთმანეთს შეჰხედეს თვალებში. გაუნძრევლად იდგნენ და ხმას არ იღებდნენ.

ოთხი თვალი სულ უფრო და უფრო დაშტერებით იყურებოდა. აი, გადმოვარდა წვეთი... იქნება ვაკაბას თვალთაგან არის? კიდევ წვეთი... იქნება მორიზანეს თვალთაგან?..

სალდათი მუზარადის ვარსკვლავებს ითვლიდა და განზე იხედებოდა. ვაკაბამ ხმა მაღლა ტირილი მორთო. მორიზანემ ხელი მოჰკიდა და უნდოდა გულში ჩაეკრა, მაგრამ ამ დროს სალდათმა მოიხედა; მორიზანემ ხელი გაუშვა და უკან დაიხია.

ვაკაბამ შეჰყვირა:

— ერთი წუთი კიდევ!—და ქალმა ხელი წაავლო მახვილის ტარს.

კოშირომ ხელი დაუშვა და შესძახა:

— მშვიდობით, კარგად იყავი! წავიდეთ, რუკოროტო!

ვაკაბა ძირს ჩაჯდა და ხმის კანკალით უთხრა:

— მშვიდობით!

ქალი საჩქაროდ წამოდგა და ჭისკრამდე გაჰყვა იმათ. ჰხედავდა, როგორ შორდებოდნენ. ჯერ კიდევ შორს არ იყვნენ... ისმოდა ჯავშნის წკარუნი... უნდოდა დაეძახნა, მაგრამ სალდათისა რცხვენოდა. ჭისკრის სვეტს მიეყუდა. ტანი უთრთოდა, ღელავდა, გული ძალზე აუდ-დაუდიოდა; ერთხელ კიდევ ხედავდა მიმავალთ. ფიგურები დაპატარავდნენ. მარცხენა ჯავშანი... თეთრი—ეს იმის ქმარია! აი მოსახვევი. ფიგურები ერთმანეთს მიუახლოვდნენ; რუკოროტო გვერდით მიჰყვება... აი, იქ პრიალებს ალებარდა, ეს იმის ქმარს ეკუთვნის. აქ-კი ორივე ფიგურა ნისლში იკარგება. ქალს თვალში სინათლე მოაკლდა. მოიწმინდა ცრემლები და გაიხედა შორს. მაგრამ არაფერი არა სჩანდა.

ვაკაბა მაგრად იყო სვეტზე მიყრდნობილი. დასუსტებული იყო; ტანის ყველა ნაწილი სტკიოდა, თვალები დაუსივდა, ველარ ატრიალებდა, აზრი ერეოდა. აღარ არის აღარც მწუხარება, არც სიყვარული, არც ქმარი... თვით თავის თავზედაც აღარას ფიქრობს ვაკაბა...

შორიდან ზარისა და ბუკის ხმა მოსმოდა. ეს საომარი მუსიკა იყო! ვაკაბა გონს მოეგო. თვალები დახუჭა, ხელები დაიქდო და სთქვა:

— **ხახიმან**, დიდებულო ღმერთო ომისავ!

მორიზანემ კი თავისთვის სთქვა:

— ეჰ, ეს ქალური აზრებიაო. ამოიღო გრძელი მახვილი*) და პირი თავით ბოლომდე კარგად გაუსინჯა. მახვილს წვერიდან ხუთისა თუ ექვსი გოჯის სიგრძეზე სისხლის ლაქები აჩნდა. მორიზანემ გაიღიმა. ეს ლაქები სალდათთან უკანასკნელ ბრძოლის შემდეგ აჩნდა იმის მახვილსა.

„მახვილმა მტერი უნდა გაჰკვეთოს, ახლა კი მე თვით უნდა ვიხმარო ეს ხარაკირისათვის. ამას მოველოდი მე, ან ამას მოელოდა ჩემი მახვილი? მაგრამ თუ ახლა არ მოვკვდები, ორგული ვიქნები ჩემის ბატონისა. ვერ ვასრულებ მოვალეობას ბიძისა და ცოლის მიმართ. მახვილი გამისტუმრებს საიქიოს, ჩემს მშობლებთან, მახვილი შემაძლებინებს ბატონის ერთგული ყმა ვიქნე და ღირსეულად შევასრულო მხედრის მოვალეობა. თუმცა ეს მახვილი ჩემს ხორცს ვერ დაიფარავს, მაინც ჩემი ერთგულია. ამის მოიმედე ვარ მე, ამის მოიმედეა ჩემი მახვილი. სიკვდილის წინად დიდის ხალისით შევებრძოლებოდი მტერსა, მაგრამ ბიძამ შემაკავა.

მახვილო, ვერ მოგიკალ სისხლის წყურვილი, ვერ შევძელ დამეჯილდოვებინა შენი სამსახური. ეს არის ჩემი შეცდომა! თუ სული გაქვს, იგრძნობ, რომ ცუდი პატრონი გყავდა. ეხლა კიდევ მუცელი უნდა გაუჭრა ცუდ კაცს და შენ შეგრცხვება. თუ ოდესმე იპოვნი სხვა პატრონს, არავის არ ეტყვი, რომ მე გატარებდი, თუ არა, დაგცინებენ, რომ ასეთს ცუდს მეომარს ეკუთვნოდი. არავინ არ

*) იხ. „დამატება“, № 323.

*) სამურაის ორი მახვილი ერტყა წელზე: ერთი გრძელი, მეორე მოკლე, როგორც ამას ბევრს სურათებზე ვხედავთ. იოშინომ თან წაიღო მოკლე მახვილი. გრძელ მახვილზე არც კი უფიქრნია ქალს, რადგან ასეთ მახვილს არასოდეს არა ხმარობდნენ თავის მოსაკლავად.

მოინდომებს შენს ტარებას და, კედელზე უხმარად მიყუდებულს, პირი დაგიჟანგდება. ჩემო მახვილო, მამიჩემისეულო სამკვიდროვ... გავეშურები ჩემს მშობლებთან“...

კოშირომ მახვილი სახელოში გაჰხვია, მხოლოდ წვერი გამოუჩინა, მერე გული გაიხსნა და მკერდი გამოიჩინა.

„მინდოდა უკანასკნელი წერილი მიმეწერა ბიძაჩემისათვის, რომ მადლობა გადამეხადნა, მაგრამ ჭრილობა მიშლის წერას. ხვალ მოვა ბიძაჩემი, ჯანმრთელი და ბედნიერი. ჩემი ბატონი უბედურ სიკვდილით დაიღუპა. განა შემიძლია ბიძა ჩემს ბედნიერება ვუსურვო? ძალიან ვუყვარვარ და ძალიანაც შეწუხდება... იმის ცოლი იქნება ავადაც გახდეს. სუსტია და ყოველ დღე კი ტაძარში დადის. ომიანობის დრო რომ არ იყოს, ეგლა ჩემს ვაკაბას მისწერდა, რომ მე კარგადა ვარ. მაშ ასე, ვაკაბაც შეწუხდება... და შენ-კი, იოშინო, შენ დამივიწყე. ასეთია ბედის წერა! მეორეჯერ რომ მოვალ ამ ქვეყნად საცხოვრებლად, მაშინ ჩვენ სამუდამოდ შევერთდებით. მე არ დავივიწყებ შენს სახეს, ნურც შენ დაივიწყებ ჩემსას. მაპატიე ის სიავე, რაც გიყავი, და გაუფრთხილდი შენს თავს, რომ მწუხარებისაგან ავად არ გახდე და მშობლები არ შეაწუხო. ეს არის ჩემი უკანასკნელი სურვილი!..“

ზარის ხმა მოისმა, შუაღამე იყო.

„**ამიდა ბუდდა**, მოწყალე მექმენ!“ კოშირომ მახვილი ჩაიცა მუცელში... სისხლით გადმოსკდა. ყმაწვილმა კაცმა ექვსი გოჯის სიგრძეზე მარცხნიდან მარჯვნივ გაიყარა მახვილი. ხელი უკანკალებდა. ტუჩები ძლიერად მოიკვნიტა და ხელით მარჯვენა გვერდამდე გაიფატრა მუცელი...

*
* *

— თქვენ საცოლე იყავით მორიზანესი, — უთხრა ვაკაბამ.

— თქვენ ცოლი იყავით კოშიროსი, — უპასუხა მგზავრმა.

ისინი ერთმანეთს შესჩერებოდნენ. დილის სხივები შემობრწყინდნენ ფანჯარაში, ქღალდის კარავი ნიავმა შეარხია...

ღამემ გაიარა...

**განდეგილი.**

# ჩემი მიმოხილვა

ჩვენმა უთავბოლობამ და უზრუნველობამ ყველაფერზედ გული ამიცრუა და ქალაქიდან გამაქცია, — აგერ რვა წელიწადია ჟინვალის ხიდს აქეთ აღარ გამოვცილებულვარ. ამ ბოლო დროს-კი ჩემამდისაც მოაღწია ხმამ, ვითომც „ჩვენში რაღაც მოძრაობაა, ბრწყინვალე განთიადი დაგვიდგაო. ველარ გავძელ მთაში, დავკარ ფეხი და ქალაქში ჩამოვედი.

ჩამოვედი თუ არა, მოკითხვის კაცი ვაახლე ჩვენს დავითს და დავეკითხე, როდის შემეძლება მისი ნახვა. ვფიქრობდი, რომ იმას ეხლა საქმე ბევრი ექნება და ჩემთვის არ



ეცლება მეთქი. მართალიც გამოდგა, საქმე ბევრი ჰქონია... უცხო ქვეყანას წასულა... ღმერთმა ხელი მოუმართოს!

მეორე დღეს ჩავიცვი ჩემი სადღესასწაულო ქულაჯა და წაველ ჩვენ მოწინავე და ცნობილ მოღვაწეთა სანახავად. ხოლო, ვინაიდან ჩვენში ყოველი ცნობილი მოღვაწე სადმე „თფილს“ ადგილზედ არის, მეც მათ სანახავად სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებისაკენ გავწიე.

დარბაზი ხალხით გატენილია: გამგეობას ახალი წევრები მიუღია, ველარ ასწრობს მათგან საწევრო ფულის ჩაბარებას. ეს ძალიან მიამა. შეველ გამგეობის კაბინეთში, საქმის გაფართოვება მივულოცე. ეჭვის თვალით შემომხედეს. მგონია ვერ მიცნეს, მთხოვნელი ვეგონე, ყური არ მათხოვეს. ერთი გართული იყო მძიმე და ღრმა ფიქრებში, რომ



საქმის ასე გაფართოვება საშიშია, ახალი წევრები აღარ უნდა მივიღოთო და „უჩოტის“ სარგებელს $24^{0}/_{0}$-ი მოვუმატოთო.

მეორეც ძალიან გართული იყო. შემოესხა გარშემო



დარბაისელი კლიენტები და საუცხოვო ანეგდოტებს უამბობდა, იმ დროის ანეგდოტებს, როცა ის „კიდევ სამსახურში იყო.“



მესამეს პირისახეზედ სრული კმაყოფილება ეტყობოდა. მას შემდეგ, რაც მან ერთგვარი მანქანა გამოიგონა, რომელსაც შეეძლება პალტო ჩამოართვას ქალაქის სკოლებში მიბრძანებისა და ზედ წამოაცვას დაბრუნების დროს, მისი სახელი ყველასათვის ცნობილი გახდა... მცირე ხნის შემდეგ, ეჭვი არ არის, სადმე მოთავეთ ამოირჩევენ. ბედნიერნი, ამათ არ აწუხებს „მოძრაობა,“ ისევ ისე მოწყვეტილნი არიან ცხოვრებას, როგორც უწინ, იმისი არა იციან-რა, — ვსთქვი და გავწიე სხვაგან.

ვხედავ მოცუნცულებს ჩვენი კოლა. მუდამ მხიარული და ცოცხალი, დღეს იგი როგორღაც მოწყენილი იყო. პირ-



ველად ვნახე ასე შეწუხებული,—ბანკის გირავნობის ფურცლები ჰქონია და ეშინიან ამ მოძრაობის გამო არ დაეწვას. ძალიან ჯავრობდა, ცუდი დროაო.

მივედი მეორე დაწესებულებაში, დარბაზში აქა-იქ ორიოდ-სამიოდ კაცს ჩასძინებოდა იმის მოლოდინში, თუ გამგეობა როდის განიხილავს მათ საქმეს. მივედი სამოთხის კარებთან, ესე იგი გამგეობის კაბინეთის კარებთან. წინ რამდენიმე კაცი იდგა, რადგან კარებზე ეწერა: „დაუკითხავად კაბინეთში შესვლა სასტიკად აღკრძალულია“-ო.

მოსამსახურემ გვითხრა, გამგეობა ვერ მიგიღებთ, საშური საქმე აქვსო, მაგრამ მე, როგორც შინაურმა, ამ განცხადებას ყურადღება არ მივაქციე და სამოთხის კარები შევაღე.

შუა ოთახში ჭერიდან იყო ჩამოშვებული რკინის მოკლე ჯაჭვი, რომელზედაც ეკიდა უშველებელი და მძიმე ხმა-



ლი. ამ ხმალზედ წარწერილი იყო „ზიხ,“ „ცაპინ,“ „ხოლზოვ,“ 1,200,000-ის ნანგრევები—ქონება, 130,000 ზარალი, ავშაროვ—ჭრელაშვილის საქმე—ზარალი 70,000 და სხვა და სხვა. შიგ სამოთხეში-კი სრული მშვიდობიანობა სუფევდა, ოთხივე წევრი გამგეობისა თავთავის ალაგას ისხდნენ და თავთავის საქმეში იყვნენ გართულნი.



თავჯდომარის კისერზედ არის მთელის გამგეობის გამოსარჩლება—გამართლება. დღეს ეს ტვირთი მეტად მძიმეა და ამიტომ თავჯდომარემ მიმართა თავის საყვარელ ავტორებს, სოფისტებს, რომ მათის დახმარებით კრებას თვალი აუხვიოს და შავი თეთრად დაანახოს. მეორე წევრი გამგეობისა, გან-



თქმული კლასიკურის ზარმაცობით თავიდან ბოლომდის საქმეში იყო...... ძაღლებიც კი აღარ აგონდებოდა!

მესამეს გარშემო გაზეთები შემოეწყო და შიგ ულტრალიბერალ-რადიკალურ სიტყვებს და ფრაზებს ეძებდა. ეს



მოღვაწე ფრაზების მხრივ ისევ ლიბერალი დარჩენილა... მეოთხეს ძალიან მხიარული სახე ჰქონდა: დიდის და ღრმა ფიქრის შემდეგ მას ერთის დაწესებულების კარებისათვის, რომლის დასახელება აქ მოუხერხებელია, ისეთი გასაღები გამო-



უგონია, რომელიც აღარ დაიკარგება, რადგან ვერავის ჯიბეში ვერ ჩაეტევა. რასაკვირველია, ამისი ჯამაგირი საზოგადოებისთვის დაკარგული არ არის.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ 10 іюня 1905 г.    ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ ამხ—სა.